პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 25 თებერვალი 1925 წელი

წელიწადი პირველი

# ტარტაროზი

ფასი 3 შაური

№ 4—(7) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 4—(7)

„წმ. ტარასი“. დღეს ჩვენი სახელობის დღეა. ხედავთ საქართველოში როგორ იხდიან ჩვენი სახელობის დღესასწაულს?




ყველა მშრომელნი ჩვენთან არიან;
შრომაც და ბრძოლაც ჩვენ გვიხარია.
გადაშენდომია ჩაქუჩს ნამგალი
—და რას დაგვაკლებს აწ ჩვენ მტარვალი.

კერპებს ავხადეთ ნილაბი, ფარდა;
ძველი წესები არქივს ჩაბარდა.
ჩვენ მოვიხადეთ კომუნის ვალი
—გვრწამს ოქტომბერი და თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზფონდი

…გეც გულუხვად რაცა გაქვს,
თუ გინდა იცინოვო!…
ს. ზურგიელიძე ტ. XVI გვ. 352

## წინასიტყვაობის მაგიერ.

**იყო „დობროლოტ“, შემდეგ**
**„დობროხიმ“, ჰაერფლოტი;**
**გახსოვთ გარშემო ამათ**
**რამდენი იყო შფოთი?**
**მტრებისგან დასაცავად**
**გვჭიროდა თავდა რიგი…**
**ეხლა კი როგორცა ჩანს**
**ჩვენისაც დადგა რიგი.**
**დიდხანს ველოდით ამ დღეს;**
**ვამბობდით:—როდის?.. როდის?!.**
**ხომ უნდა „ტარტაროზსაც“**
**გაძლიერება ფონდის?..**
**წყნარად ვიდექით რიგში;**
**გვქონდა კრძალვა და რიდი…**
**„დობროხიმს“ ჩამორჩება**
**ჩვენი ჟურნალი რითი?..**
**და ჰა, მოვიდა ჯერიც…**
**ჩვენ ვარს ვერ ვიტყვით მკაზე..**
**ემზადეთ. მოგადგებით**
**ახლო დღეებში კარზე!..**

**ამა სუხიშვილს, რომელმაც ქალაქის აღმასკომის სახელით, უკვე გამოუცხადა „ტარტაროზს“ თავისი 50-მანეთიანი თანაგრძნობა.**

თქვენს იფთას „ტარტაროზი“
დიდი მადლობით ღებს;
გვრწამს, ამის შემდეგ ბედი
სხვებთანაც გაგვიღიმებს..
იქნები მაგალითი,
მოძმისთვის მისაწვდომი…
შენს მტრებთან აწ „ტარტაროზს“
არ დაზარდება ომი…
აგენტთა მებრძოლ ჯარებს
დღესვე შეისევს უბეებს,
ცუდის მოსურ ეს შენთვის
კ ალსა და ზას აუ ნევს ..
მოგართმევს, ეტყვის კრძალვით:
**ლადო**, ბაას ხელი ხელსა,
მიიღე ჯ რჯეროთ
ჩვენგან სანაცვლოდ ესა!..
დამწნილს და დამჟავებულს
სხვებ აც მიიღებთ მალე…
გვერწმუნე, ერთი ათად
მოგართმევთ ყველა ვალებს!..

### მუშკოპებს.

ჟვკლამდა იმისი ფიქრი,
(მთელი დღე, მთელი ღამე)
ნეტავ მუშკოპებს ჩვენთან
აქვთ სამდურავი რამე?..
გათენებისას, ბოლოს,




ჩვენ გარდავწყვიტეთ ასე:
ძმები ვართ, უსათუოდ
ძ ვრ სიყვარულით სავსე…
ის—დიდი, ჩვენ—პატარა,
(სიმართლე ითქვას უნდა),
ხომ იცით, მცირ ძმას დიდი
ნატვ ებს უსრულებს მუდამ…

### „ჩემო“-ს.

იცით თუ არა, თქვენს წინ,
(სულ წუთის გასავლელი)
ტარტაროზს აღმოაჩნდა
მად ნი ულეველი…
და ეხლა გითვლით ამას:
( ვჯერა, ღირს ცნობა წერად)
მიიღოთ „ტარტაროზი“
სრულუფლებიან წევრად.
დე, მრეწველობის საქმეს
შემატდეს მისიც წვლილი…
სამაგიეროდ თქვენაც
არ დაუკავოთ წილი…
დაუზვდით ხელგაშლილად,
თქვას:—არც კი წავალ სხვაგან!..
კუდით ქვა ასროლიეთ
**სუხიშვილს ჯავრისაგან…**

### ცეკავშირს და წარმოკავშირს…

თუმც სხვად სხვა ხართ, მაგრამ
მიგიღეთ ჩვენ ერთ რკალად.
ორნივე აკავშირებთ
ვით საუცხოვო კალა.
არ გიყვართ ტრაბახობა,
ხართ მუყაითი, მშვიდი..
გარშემო ჩვენს ჟურნალის
მოდით, თქვენც შეკავშირდით!..
ჩვენც მხარს დაგიჭერთ ლხინში,
და მტრებს აუტეხთ ომსა…
ეცადეთ, არ ჩამორჩეთ
ცალ-ცალკე აღმასკომსა!..

### „ზაკტპო“-ს

მუშკოოპი ხარ თითქმის,
თუ უფრო მეტი არა…
გამხმარი თანაგრძნობა,
გვითხარი, აბა, კმარა?..
ნუ ავტეხთ ზედმეტ ბაასს,
გაისვი ჯიბეს ხელი,
ისე რომ აღმასკომთან
შენც გახდე გას მხელი!.

### რკ. გზის სამმართველოს

„ტარტაროზის„ წინ, ვფიქრობთ,
თქვენაც მიგიძღვით ვალი…
„ზანოსებს“ ნუ გვიხსენებთ,
არ არის ჩვენი ბრალი…
ეს არ გიშველით… რაა
ქარბუქი, ზენა, ქვ ნა?.,
მიბაძეთ სხვა უწყებებს
შეძლებისგვარად თქვენაც!..

### „სოზესს“

მომჭირნეობა გიყვარს,
გიყვარდა, გეყვარება…
გვერწმუნეთ „ტარტაროზიც“
ამ მცენბას ემყარება…
ამიტომ, მოგვეც ხელი,
(ო, რა თქმა უნდა, უხვი!…)
წრფელ გრძნობამ გაგვინათოს
ესე ცხოვრება რუხი…

### „ბანკებს“

სასიხარულოდ ჩვენდა
იზრდებით და მრავლდებით;
შეგცქერით ნერწყვით პირში
და ტკბილ ოცნებით ვდნებით.
ჩუმად ვართ… რაში გინდათ
ზედმეტი ქება, შესხმა…
აბა, თქვენ იცით, რამდენს
მოგვცემთ უვადო სესხად!..
სამაგიეროთ ამის
მოგართმევთ სხვა კაპიტალს…

გახეთქს ბრაზისგან შვაზე
სიცილი კლდესაც პიტალს!..

**„გრუზგოსტორგს“**

სახელი რუსული გაქვს,
არ ვიცით რისთვის, რატომ?..
შენს „ვივესკებზე“, ძმაო,
**გრუზგოსტოგს** ვხედავთ მარტო...
თქვენს ყურებამდის როცა
მოაღწევს ჩვენი ხმობა,
გამოიჩინეთ მაინც
ქართული გულუხვობა!..

**დასასრულ ყველას... ყველას...**
ხარკებს მუდამ დღე ვიღებთ,
ვნახოთ, მოიტანს ვინ რას...
ალმასკომს ვინც აჯობებს
პირველი პრიზი იმას!...

**ტარტაროზი.**

## „ნალოგი“

ნიზკი სალამ ძმაო ტ რტაროზ!

ოხ! რამოტელი გასაჭირი მადგია; ლამის გავგიჟდე რაღა... ერთი ჯოჯო ცოლი მყავს და დამახრჩო ეს არის იმ შეჩვენებულმა. ჩესტნი სლოვა, მტკვარში გადავარდები თუ პამაგაი არ მიქენი.

ტარტაროზ, გთხოვ ერთი იურედიჩესკი პომოშჩი მიყავი, ახალი ზაქსის ზაკონის აზიასნენია. იმედი მაქვს დამეხმარები შენს სატრუდნიკსა. გეტყვი ჩემს პალაჟენიას:

როცა მინდა წერილი მოგწერო, მოვა ის მაჯლაჯუნა და არ მაძლევს მოსვენებას. ერთი სურიოზნი ამბავი მინდოდა დამეწერა და არ დამაცალა იმ კამეჩის თავმა. გუშინ ბუზა მომივიდა; ჰამაც დავიწყე წერა, მარა მომადგა იგი შეჩვენებული და დამიფრთხო...

—სათენიკ, მაიცა დუშკა, ტარტაროზ წერილს ვსწერავ მეთქი...

ქა, ტარტაროზიცა ხარ და კუდიანიცაო...

არა, სათენიკ, გიუბნები შენ ჯოჯოხეთის ისპანახო; ტარტაროზი გოროდის გუბერნატორი არის, პროშენია უნდა მივართვა, ნალოგისაგან ასვობოჟდენია მიყოს მეთქი...

არ დამიჯერა და მცემა იმ შეჩვენებულმა; ჰამაც, თან ბუზაც დამიფრთხო.



**ქვეყანა იყო ღვთის განწირული,**
**ოთხ წელს იწვიმა კოკისპირული.**
**ტალღები სტორცხნა კავკასიონსა,**
**აღარ შეეძლო შველა სიონსა.**
**ღმერთმა უბრძანა: აგე მალე**
**„კიდობანი და უ ველე თავ'ა.**

**„სადღაც შორს მხარეს გადაიმალე,**
**„რათა ასცილდე საქმესა ავსა“.**
**გემი კოლხეთის სტოვებს ნაპირებს,**
**სამშვიდობოზე გასვლას აპირე ს.**
**—უნდა ავიდე'ა მთა არარატზე,**
**მაგრამ გაჩერდა ის არარაზე.**

ტარტაროზ, რაზვოდი მიქენი ჩემს ცოლთან და მერე ნახამ როგორი სტატიები გავაშიშლიკო... ვაჰხ! აფსუს, პოვეტი კაცი და ასეთი ჯოჯო მყავდეს ცოლად?!

ეხლა, ტარტაროზჯან, ერთი სლუჩის გამო მინდოდა დამეწერა დიდი წერილი და ასე კრატკათ გწერამ; იმედია არ დამძრახავ.

დღეს ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც სავეტსკი სტროი პრიშოლ გრუზია.

მე ძალიან მიხარია და პაზდრავლიაიტ ვსემი დუშოი. სოვეტსკი პაპიროს, მინავატ, სავეტსკი ვლასტ ოჩინ ხარაშა ღლია რაბოჩი ნაროდ.

აი ჩვენი რუბენა რომ არის, ტიპერ ბოლშოი ჩელოვეკ ესტ. მენშენიკები რომ იყო, ადინ გვარდიელ ჩემი წიწმატი წაიღო უფულოთ. ია ტოჟი აჟიდალ ი ხა+ელ კომუნისტი, სუფსარქისის მადლმა; ოცდა ერთ წელში, კაკრაზ ეტო ვრემია, 25 თებერვალს ჩემი ტაჩკით შევხდი ნავთლუღუ რუსკი კრასნი არმია ი დვა დნია ბეზპლა+ნათ ვზიდავდი რაზნი ტავარ ნა ვაგონ.

ეხლა, ტარტაროზჯან, ღმერთის მადლმა, ვსიო ხაროშა, მაგრამ ნა წვანილ ნალოგი რომ არ იყოს, სულ უკეთესი იქნებოდა.

ეს ერთი პუ ტიაკი აქ'ს სავეტ'კი ვლასტის და მე მგონია ნაში გარადსკოი გალავა ტავარიშჩ სუხიშვილი ატმენიტ. და, ჰა, მ რჩა და გათავდა.

კრიჩ რაზ გაუმარჯოს ეტო ველიკი დენ, მოი ტავა იშჩ ი ჟელაიმ კომუნისტ პარტია ვსო დობრა.

ურაააა...

და ზდრავსტვუიტ ჩეტვერტი გოდნიშინა; მე და ჩემი ბედნი ასიოლი ვსეგდა გატოვი ნა ვასტანავლენიე ტრანსპორტი, სავეცკი სტრაიტელსტვა ი ხაზაისტვა.

ტვოი პოლოს წიწმატიანც.

**ბეყეირათი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოოპერაციის წარმატება.

პელაგია ქილოფაძის ქალი მორცხვათ მივიდა სახალხო მოსამართლის მაგიდასთან და ფრთხილად დასდო ზედ პატარა, მაგრამ მეტად ჭირვეული ბოხჩა.

— ეჭვი არავისზე არ გაქვთ?—საქმიანი კილოთი შეეკითხა მოსამართლე.

— მაქვს ეჭვი, მჭედლიშვილზე.

— ხოო! მოქალაქე მჭედლიშვილი აქ არის?

— არის!—მხედრული გაწვრთნით წამოიძახა ერთმა დამსწრეთაგანმა და წამოდგა ფეხზე.

—მოქალ მჭედლიშვილო, სცნობთ? —მკვახეთ შეეკითხა მოსამართლე.

— რას?

— ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს თუ სცნობთ, მე გეკითხებით! ბავშვი თქვენია?

— არა, ჩემი არ არის!

— ქილოფაძის ქალს თქვენზე შემოაქვს ეჭვი—რა შეგიძლიათ სთქვათ თავის გასამართლებლათ?

მჭედლიშვილმა მხრები შეიშმუშნა და დაღვრემით წარმოთქვა:

— ეჭვი შეიძლება შემოქონდეს ჩემზე, მარა ბავშვი კი ჩემი არ არის.

— მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ თქვენსა და ქილოფაძის ქალს შორის არაფერი არ მომხდარა?

— რაც მართალია—მართალია,—მომხდარა!

— ხოო! თუ კი რამე მომხდარა, მაშ ბავშვიც თქვენი უნდა იყოს!

— არა, ჩემი არ არის!

— მე თქვენი საქმე მაკვირებს, მოქალაქე მჭედლიშვილო, თუ თქვენი არ არის ბავშვი, მაშ ვისი უნდა იყოს?

— უსათუოდ თუთიშვილის იქნება.

— თქვენ ასე ფიქრობთ? მოქალაქე თუთიშვილო, წინ წამოდექით! თქვენსა და ქილოფაძეს შორის მომხდარა რამე?

— მომხდარა!—დარცხვენით მიუგო თუთიშვილმა,—მარა ბავშვი ჩემი არ არის!

— ეჭვი არავისზე გაქვთ?

— მაქვს, ქუქუნაშვილზე.

— მოქალაქე ქუქუნაშვილო, იყო რამე?

— იყო!

— აღიარებთ?

— არა, არ ავღიარებ. ეჭვი ბულბულაძეზე მაქვს.

## სად ცხელა ყველაზე უფრო.



მოსამართლე. ეშმაკიც ვერ გაიგებს ამათ საქმეს.

მოსამართლემ მოიწურა სახეზე ოფლი და ჭიქა წყალი დალია.

— ბულბულაძე!

— აქ გახლავართ!

— მომხდარა რამე!

— მომხდარა!

— სცნობთ?

— არ ვცნობ!

— გაქვთ ეჭვი ვისმეზე?

— მაქვს.

— ვისზე?

— მჭედლიშვილზე.

— მოქალაქე მჭედლიშვილო!

— აქ გახლავართ.

— ეს თქვენა ხართ მჭედლიშვილი? მე თქვენ უკვე დაგეკითხეთ, მგონი?

— მართალს ბრძანებთ, დამეკითხეთ. მოხდომით მომხდარა, ბავშვი კი ჩემი არ არის მეთქი, მოგახსენეთ.

მაშ ვისი ჯანდაბის არის!—გაცხარდა მოსამართლე.—თუ თქვენი არ არის, აბა ჩემი მდივანის ხომ არ იქნება?!

მდივანი გაფითრდა, კანკალი დააწყებია და საწერელი ხელიდან გაუვარდა:

— იყო კი, მარა ბავშვი ჩემი არ არის!—წაილუღლუღა მან.

— მაშ აგრე, ეხლა კი ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე!—სთქვა მოსამართლემ და გავიდა სათათბირო ოთახში.

* * *

...„ და სხვა და სხვა... ყველა ზემოთ მოყვანილის გამო და აგრეთვე მისაღებია რა მხედველობაში არსებული კანონდებულება კოოპერაციის შესახებ, აღიარებული იქნეს აღნიშნული ბავშვი კოოპერატიულათ და მოქალაქენი: მჭედლიშვილი თუთიშვილი, ქუქუნაშვილი, ბულბულაძე და სასამართლოს მდივანი ყაყაჩოშვილი დამტკიცებული ამ კოოპერატიული ბავშვის გამგეობის წევრებათ. აღნიშნულ მოქალაქე—კოოპერატორებს დაევალოთ თავის დროზე შეიტანონ საწევრო გადასახადი. ბავშვს მიეცეს კოოპერატიული გვარი მჭეთუქუბუყაშვილი და სახელათ დაერქვას მდივანი.

განაჩენი ძალაში შედის დღიდან ამა დადგენილების მიღებისა.

* *

პელაგია ქილოფაძის ქალმა მორცხვათ აიღო მაგიდიდან თავისი ჭირვეული კოოპერატივი, თავაზიანათ დაუკრა თავი მოსამართლეს და სიხარულისგან გაბრწყინებული სახით გამოვიდა გარეთ.

ვალენტინ კატაევ.

## სად ცივა ყველაზე უფრო.




**მასწავლებელი.** რომელ კუთხეში ცივა ყველაზე უფრო?
**მოწაფე.** ყველაზე უფრო ცივა ჩვენს სკოლაში.

## ღლაბუცი.

ამხანაგო ტარტაროზო!.

შენი ინსტრუქცია მეორე ნომერში დაბეჭდილი 18 იანვრის თარიღით სმენად და შესასრულებლათ ბოძებული,—წავიკითხე, ვისმინე და მზათ ვარ გემსახურო.

შენ მიერ განკვეთილი ნიხრი: **ღიმილი**—სტრიქონი 4 კაპ.; **სიცილი**—5 კაპ. და **ხარხარი**—6 კაპ. მომწონს, მაგრამ ჩემს ბრძანებელს, ყოვლად გულთამხილავ ტარტაროზს დავისწყებია, რომ გარდა ღიმილისა, სიცილისა და ხარხარისა, გართობის სხვა ნიშნებიც არის, მაგალითად: **ჭყლოპინი** და **ღლაბუცი.**

ღიმილი, სიცილი და ხარხარი—საეჭვო ხასიათისაა; ერთისათვის თუ სასიამოვნოა, მეორისათვის საწყენია; ამიტომ ვისიმე დაუსჯელათ არ ჩაივლის. **ღიმილი...** ყბადაღებულის ჩუმი, მწარე, ირონიული დაცინვაა, შემპარავი, გესლიანი, ადამიანის მომსპობი, გამანადგურებელი, მაშასადამე ვისი ხარჯითაც ღიმილს გამოიწვევ—დაუსჯელს არ დაგტოვებს; შეიძლება იმდენიც გირტყას, რომ ის (პასივი) იღიმებოდეს და შენ (აქტივი) კი ზლუქუნობდე და 4 კაპეიკიანი ჰონორარი მალამოთ არ გეყოს.

**სიცილი....** ეგეც ღიმილის ჭკუისაა, მაგრამ უფრო აშკარა, მას (სიცილს) გამოიწვევს ვისიმე გაპამპულება, გამოსხარავება, აბუჩათ აგდება და თუ შენ მიერ სასაცილოთ აგდებული ცოცხალი გადაგირჩა, შენ თვით მოგაქცევს სატირლათ; შაურიანი გასამჯელო კი შენს ჰირისუფალს (ასეთი თუ გყავს) ქელეხსაც არ გაუსტუმრებს.

**ხარხარი....** ხარხარი ღიმილისა და სიცილის შედეგი და განვითარებაა—ღიმილი სიცილს იწვევს, სიცილი კი ხარხარს, თუ˚ცა ეგეც აღსანიშნავია, რომ ხშირად ერთი და იგივე მიზეზი ზოგს გაალიმებს, ზოგს გააცინებს და ზოგს კიდევ ხარხარს დააწყებინებს. მაგალითად ვისიმე ჭკუის კოლოფის ტვინის ნახიცინევი ბოროტს გაალიმებს, ზომიერი ხასიათისას გააცინებს, კეთილსა და გულუბრყვილოს კი ხარხარს დააწყებინებს.

ყოველივე ამის მიხედვით შენ მიერ დაწესებული ჰონორარის საქმე შეიძლება ისე გამწვავდეს, რომ საქმე სასამართლოს გასარჩევი დარჩეს. შეიძლება ერთი და იგივე სახუმარო წერილის ავტორმა სამივე ჰონორარი—ღიმილის, სიცილის და ხარხარის ერთად შეერთებული 4+5+6=15 მოგთხოვოს. წინად კიდევ, როცა დავასა და ძიებას ერთი მსაჯული სწყვიტდა, დავაც ადვილი მოსაგვარებელი იყო, რადგან წერილი მსაჯულს გაალიმებდა, გააცინებდა, თუ გადაახარხარებდა—ჰონორარსაც იმის კვალობაზე მიუსჯიდა. შეიძლება სრულიადაც რა დაეკმაყოფილებინა [illegible], მაგრამ დღეს, როცა [illegible] მსაჯულები არჩევენ, დამერწმუნე, რომ მსაჯულებს კიდევ მსაჯულები მოუნდებათ და ძიება დაუსრულებელი დარჩება...

ამიტომაც მე ვარჩიე ჭყლოპინი და ღლაბუცი... ჭყლოპინი კარგი რამ არის, მაგრამ ის (ჭყლოპინი) ემარჯვება უმანკო ბავშებს, ძუძუ მწოვარებს. თავიანთ სიამოვნებას ბავშები ჭყლოპინით გამოხატავენ... ჩვენში ძლიერ ბევრია წვერიანი და პორთფელიანი ბავშებიც, მაგრამ ჭყლოპინის უნარი არ აქვთ... მათ დაუტოვოთ ჭყლოპინი და გაუმარჯოს **ღლაბუცს.**

**ღლაბუცი** სულ სხვაა. იღლაბუცე რამდენიც გენებოს. შენს ღლაბუცს თავის თავზე არავინ არ მიიღებს, პირიქით შენ, მოღლაბუცეს, გეძახის სულელს, გიჟს და ხეპრეს; შენზე გულმტკინეულობს, შენ ეცოდები, ებრალები; გიჟი რომ არ იყოს ჭკვიანი იქნებოდაო, სოლომონ ზურგიელიძესავით ამბობს. მართალია, სრულიად მცირე წლოვანი გახლავარ, ისე მცირე წლოვანი, რომ 32 კბილიდან 27 ჯერაც არ ამომსვლია, მაგრამ ამ ჩემს მოსწრებაში ბევრი მოღლაბუცე მახსოვს. ზოგი მათგანი, მაგალითად, ესოფა ინწკირველი, გირგოლა იმნაიშვილი და ფარნა კომახიძე ცოცხლები არ არიან, მაგრამ ის კი არავინ იფიქროს, თითქოს ისინი ღლაბუცობის მსხვერპლი გახდენ და სიკვდილით დასაჯეს, ან სცემეს—სრულიადაც არა. ამ ადამიანებზე თამამად ითქმოდა: „ცა ქუდათ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნადო“... უკიდურესი კოსმოპოლიტებიც იყვნენ—სადაც დაუღამდებოდათ, იქვე გიუთენდებოდათ, იქ იყო მათი „მიწა—სამშობლო“. მათთვის არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ იცოდნენ ჩემი და სხვისი; მათ ვერ აშინებდა ცენზორი და სამხედრო წესები... ყველგან და ყოველთვის სარგებლობდენ სიტყვის სრული თავისუფლებით... ყველას დასცინოდენ, ყველას აბუჩათ იგდებდენ, მაგრამ არავის სწყინდა—სულელი რას იტყვის და ჩემს შესახებ რა აზრის არის, რა საწყენია... ბედნიერები იყვნენ... და ეს ბედნიერება ესოფა ინწკირველს ისე გაუტკბა, რომ გაქანებული მატარებელი საჭიდაოთ გამოიწვია...

# „სწრაფშიკრიკი“

(რკ. გზის სამმართველოს და სასამართლოს)

მირბის, მიჰქროლავს ქვაფენილზე
მალი შიკრიკი.
ვერ დიეწევა გზაში ცხენი
მას თოხარიკი.
უკან მისდევენ ტრამვაი და
ავტომობილი—
მაგრამ მათ ასწრებს „სწრაფშიკრიკი“
თქვენი ძმობილი.
გასწი შიკრიკო, ახლოს არის
შენი სადგური.
მიდი, ჩაქვეა და შეაღე
თამამად კარი.

—

ყველას დაუწყე საუბარი
ვინც შეგხვდეს გზაში.

**28 იანვარი.**

უარი არ უთხრა თუ მიგიხმეს
შენ ღვინის სმაში.
მიეცი ცეცხლი პაპიროსზე
ყოველსა მგზავრსა.
გულს ნუ ჩაიგდებ შენ ბარათის
მიტანის ჯავრსა.

—

სადაც მოგესურვოს იქ დაისვენე,
იქ იყოს შენი ლეპი, საბანი.
თუ კი მოგესმას ტკბილი სიმღერა
შენ მომღერლებსა უთხარი ბანი.
რაა შვიდი დღე დაიგვიანოს
ადგილზე მისვლამ გზაში ბარათმა;
არ შეგეშინოს და არ იდარდო,
თუ გინდ გავიდენ დღეებმა ათმა.

**2 თებერვალი.**

დე, ასე იქნეს ისა სჯობია
ვიდრე მოაკლდე სწორ მეგობარსა.
ყველგან შეჩერდი, ყური ათხოვე
ყველა გამვლელთა ტკბილ საუბარსა.

დათვალე კარგად თუ რამდენია
მაღაზიები და ვიტრინები,
არც ის გაუშვა მხედველობიდან
თუ ვის სადა აქვს სახლში ბინები.

დათვალე ისიც, თუ რამდენია
ქვაფენილებზე ქვა მოკირწყული;
შეხედე ყველას და გამოჰკითხე
თუ ვის რაგვარი აქვს გულში წყლული.

**7 თებერვალი.**



**აქედან იქამდე**
**ცოტაა მანძილი.**
**ათ წუთში გაივლი**
**თუ გიყვარს თუ ძილი.**

**მაგრამ შენ ხუთ დღეში**
**შუა გზაზე ძლივს მოდი.**
**ნაბიჯი უკელი,**
**რას გავნებს შენ „ნოტი“.**

**მეათე დღეს ახლოს**
**მიადექ ადგილსა;**
**გრძნობ მუხლში მოკვეთას,**
**თვალებში ტკბილ ძილსა.**

**ყიამეთი.**

---

გრიგოლა იმნაიშვილი ღელის წისქვილის სათავანიდან გადაბარგდა „იმერეთიდან—იმერეთში“ და მის ერთად ერთ ხამის გრძელ პერანგზე მის მემკვიდრეებს დავა ახლაც აქვთ.

ფარნა კომახიძე დღესაც ცოცხალი იქნე ოდა, მაგრამ ალექსანდრე ეპისკოპოზს ხათრი ვერ გაუტეხა და საიქიოს გაჰყვა კელენიკათ და „სოვეტნიკათ“.

ერთ მოლლაბუცეს, ყოფილ თავადს, სერგო ერისთავს ყველა კარგად იცნობს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დედა ქალაქი ისე დასავლეთის... ყველამ კარგად იცის თუ რამდენ მის ნალლაბუცევს დაუსჯელად ჩაუვლია. რაკი სერგომ ილლაბუცა—არავის სწყენია, თორემ სერგოზე ნაკლები სხვას რომ ეთქვა, დარწმუნებული ვარ საბუდარზე გამოსაჩეკათ დასვამდენ... სერგო კი არხეინად ზომავს რუსთაველის პროსპექტს, მთავრობის კაცებთანაც შინაური კაცია; მიღებულია ისე ვით ბალაკირევი იყო მიღებული პეტრე დიდის მიერ... ასეა დიდი კაცის ბუნება; თითო მოლლაბუცე, თუ გინდ ისეთი, როგორც „ჩვენი“ სერგოა, რომელმაც, როცა თვითპყრობელობა დაემხო, ილლაბუცა: „როცა ერი იყო მეც ერისთავი ვიყავი და ახლა კი ვირის თავი ვარო!“... დაე იყოს, არც ვეცილები და არც მეხარბება...

მაშ ასე, ვითვალისწინებ რა ყოველივე ზემო წინადობილას, მეც გადავწყვიტე ვითანამშრომლო, მხოლოდ არც ღიმილი, არც სიცილი და არც ხარხარი არ მომთხოვოთ: დამითმეთ თქვენს **სატარტაროზოში** „ლლაბუცის კუთხე“; კუთხე თუ გენანება, დაე კუნჭული იყოს, კუნჭულიც მეყოფა, დიდ ნორმას არ ვარ ჩვეული, კუნჭულიდანაც ვილლაბუცებ.

„სალაღობოთ, სალლაბუცოთ, ამხანაგთა გასართობლათ და მტრის გულის გასაგმირათ“ ჩემთვის კუნჭულიც კმარა.

**უტუ!..**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახეთის მატარებელი ანუ ახალი გამოგონება.



ტეხნიკა, მეცნიერება
თანდათან მიდის წინა.
ამჟამად ყველგან არის
ქვეყნის პატრონი რკინა.
ევროპა, ამერიკა
დღით-დღე იგონებს ახალს.
კაცი გაუსწრებს ჭკუით
ეხლა უფალსა მაღალს.
ვით მხიარული კვეტა
ისე დაცურავს ზღვაში.
ვერ შეედრება წერო
მის ფრენას მაღლა ცაში.
უკან ჩამოვრჩით იმათ,
შეგვრჩა ტეხნიკა ძველი.
რაცა გვაქვს ისიც ხდება
—დგანა საკითხი ძნელი.
ხსნა არსაიდან არის,
(ჩვენ აღარ გვწყალობს ღმერთი)
სირცხვილიც არის—არ გვაქვს
გამოგონება ერთი.

სამოქალაქო ომმა
ზიანი მოგვცა დიდი.
წახდა რკინის გზის „შპალი“
ვაგონები და ხიდი.
ყველაზე უფრო მეტად
კახეთს დაადგა ქირი;
მატარებლების მტვრევა
შეიქნა მეტად ხშირი.
თავი დიდია და შიგ
ჩამოწვა ჭკუის ზვავი;
ვერ დაეტია შიგა
—გახეთქა შუაზე თავი.
ან კი მშვიდობა მგზავრებს
და უშიშარი გავლა.
თუ ღმერთი სწყალობს კაცსა
რა არის მაშინ სწავლა.
რად უნდა მატარებელს
სავლელად „რელსი“ რკინის.
აჰყარეს და დააგეს
„რელსი“ კვარტების ღვინის.

რად ვარგა ვაგონებათ
ხის ოთახები დუტი.
აიღეს ტიკჭორები,
ღვინო ათ-ათი ფუთი.
ორთქმავალისთვის დაჰკლეს
კამეჩი მოკლე კუდა;
ტყავიდან გამობერეს
უშველებელი გუდა.
მილით დაადგეს ტიკი,
ბენზინათ ასხეს ღვინო.
(აწ შეგიძლიათ ტკბილათ
იმღეროთ, იდ ლინო.)
ბენზინი ორთქმავალსა
აქვს ულეველი მუდამ.
(ერთ გადაკრაზე შესვა
ათი საპალნი გუდამ.)
თითო ქნეშაზე ისვრის
ტიკჭორებს უამრავსა;
ამ გვარად გაჩნდა ეს გზა,
არ ენდოთ სხვა ამბავსა.

**ისელი.**

---

# ᲬᲛᲔᲜᲓᲐᲖᲔ.

**პასუხი შეკითხვებზე.**

— ოცდა ორი წლიდან.

— მუშა.

— საშვალო.

— ბუხგალტერათ ბანკში.

— ვაყავი, სამნეო ნაწილში.

— ხუთი სული.

— თუმცა თავმჯდომარე ვარ, მაგრამ ვცხოვრობ მხოლოდ ხუთ ოთახებში ცოლით.

— პარასკეობით გამგეობის სხდომები მაქვს და იმიტომ ვერ ვესწრები.

— ვეფხვის ერთი ტყავის გულისთვის არ შეიძლება კაცს უწოდოთ ტყავის მძრობელი.

— „კომუნისტს“. დრო არა მაქვს. ხანდახან დასასვენებლათ თვალს გადავავლებ ხოლმე „ტარტაროზს“.

— ქორიძე ჩემი ცოლის ნათესავია და არა ჩემი. ესეც რომ არ იყოს— საქმეთა სამმართველო მე არ მექვემდებარება, არამედ ჩემს მოადგილეს.

— ჩემს ბიძაშვილს მე არ ვიცნობ.

— კომუჯრედი ერეოდა ჩემს პირად საქმეში.

— მგლებთან იცხოვრებ—მგლურათ ღმუილს იწყებ.

— სხვაგან სად უნდა შევხვედროდი მათ, თუ არ „ქიმერიონში“,—კომუჯრედის სხდომაზე ხომ არა!

— იხდიდენ, რა თქმა უნდა, ისინი. მე საზოგადო ფულებს არ ვფლანგავ.

— ნუ თუ პირადი მდივანი ქალი ზედმეტათ ითვლება!

— აქ მე არაფერ შუაში ვარ,—სამი მოსამსახურეები ჩემს ცოლს ყავს და არა მე.

— ეს ხარჯები იმიტომ გავსწიე,

რომ ჩემი საქმე საზოგადოებრივია და არა პირადი, — მე გამგეობის თავმჯდომარე ვარ და არა უბრალო ვინმე.

— ხუთი კომუნისტები იყვნენ ჩემი თავმდები, მათ შორის ვლადიმერ ილიასძეც.

— არა, ვლადიმერ ილიასძე ბუშტაძე.

— რა გაეწყობა... მე დავრჩები ისეთივე კომუნისტი პარტიის გარეთაც, როგორიც ვიყავი პარტიაში!..

**მოუსვენარი („წით. წიწ.“).**

# შპიგელტარტაროზ

**ანუ სარკის ტარტაროზი.**

ლანდარაია 7 ცხადირათ **ნესტორ ესებუასი.**

თარგმანი გერმანულიდან **კვაჭი კვაჭანტირაძის.**

**მოქმედება სწარმოებს:**

ბოსტანში,
„ნაფარეული“-თ სავსე ბოჭკაში,
მისტერ ჩემბერლენის კაბინეტში,
ერკეთის თეატრში,
ავტომობილზე,
ორთაჭალაში,
ნაუენის რადიო-სადგურში,
ზემელის აფთიაქში,
კუბოში,
მთვარეზე,
ეჩმიაძინში,
$H_2SO_4$ რესპუბლიკაში და მაჩში.

სენსაცია... სენსაცია: ხეპრესიონიზმი, მარჯანიზმი, ბითუროლოგია, ნატურალოგია, წუწუნიზმი და ხედერალაიტა.

**მომქმედი პირნი:**

მისი უდიდებულესობა ტარტაროზ პირველი,
მისი ცოლი ედუკია მაჩის ასული,
საუკუნე წელში გატეხილი,
საუკუნე დოყლაპია,
საუკუნე ბრინჯის ფეხებით,
კამბეჩი,
ჰერატო,
თფილისელი მილიციონერი,
მუნჯი ქათამი,
ქიმერიული დასხლეტა,
მიკირტუმ მიკირტიჩიანცი,
მისტიური მოზვერი,
ტარტაროზის მამა,
გასათხოვარი ქვრივი
და ბერ-მონაზნები, მატროსები, რომის პაპა, უჯარო გენერლები, ხალხი, რაჭველი მესაზანდრენი, ზანები, წელკავით შეპყრობილი, მოხუცი, მსოფლიო და ყველა მისი დამქაშები.

**ანონს:** არ შეშინდეთ, იქნება მიწის ძვრა და უზარმაზარი სიცილი.

**პირველი ცხადირი.**

სცენა წარმოადგენს ცარიელ თავლით სავსე მწვანე მინდორს. ფარდა ნელ-ნელა იხდება, როგორც დაღლილი ძაღლის გეომეტრიული დამთქნარება. მოსჩანს ერთი მწიფე შინდის ხე. სუსტი ბინდი თავს იბანს სარკეში. (მუსიკა: ტრიუმფალური აკივლება). გავარდება ზარეაზანი. საშინელი სიჩუმე. ჰექა-ქუხილი. ზევიდან ელვის სისწრაფით ჩამოლოლდება უზარმაზარი სარკის ბურთი, გასკდება და ტარტაროზის მამა გამოჩნდება სცენაზე. (მზისფერი გაბრწყინვალება რბილი ლიმილიანი სინათლით).

ტარტაროზის მამა თეთრად არის გამოწყობილი. პაუზა. გადადგამს მარცხენა ფეხს ცხვირის პარალელურად, დაახველებს მთვარესავით და (ტონი ექსპრესიონისტულ უმარულით) დაიწყებს იადონის ხმით ნაზათ:

მხოლოდ ფერფლი, ფერფლი... ვერფელ, მე შენ გაგაძრობ მაგ ტყავს და შევკერავ ქალამნებს, შენ საძაგელო შენ... (გულმოსული) და შენ... ჰმ! (კბილების კრაჭუნის სიმფონია) მარკოტ, როგორ გაბედე... (გაისმის ქუხილის სინაზის აკივლება) ოჰ! როგორ ცხელა; ის იგვიანებს. (პირდაპირი მაშრუტით ხელებ აპყრობილი მივა შინდის ხესთან, მოსწყვეტს შინდს და შესჭამს. დაახველებს გავარდება მეხი, ტარტაროზის მამა გაიყოფა შუაზე, მისი ორეული პლანეტური გაოცებით მისცემს სალამს ტარტაროზის მამას.)

მე შენ გამაცოცხლე... ცოცხალი... აცხა... აცხა... საშინლად დაცხა. (შეშინებული: მანერა კონუსის ბოზბაში) გული მერევა.. დილა მშვიდობის... (მუსიკა, „ვალსი“. ტარტაროზის ორეული ქრება. თვით ტარტაროზის მამა მათემატიკური მიმიკით დაიძახებს ნერვიულად): მათრახი ყველას (ამ დროს ედუკია გამოდის სცენაზე, ტარტაროზის მამა გამოდებს ცაცებს და ორივე მიიმალებიან... პაუზა. შემოდის კინტო, სამჯერ პირჯვარს დაიწერს) ვაჰ! მახლას... ასეთი შტუკი გინახავთ? ბადრიჯან სიდლ შეითანბაზარ; გეურქჯან, ჭკუაზე მოდი, ჭკუაზე მე მუტრუკო შენა... გავარიატ[illegible] ვულკან ზაკრიჩიტ.

(შემოდის მუნჯი ქათამი, კინტო თავს დაუკრავს და შეშინებული გაიქცევა. ქათამი გაიცინებს ციცინათელასავით და დაიძინებს. შემოდის ტარტაროზის მამის ორეული).

დავილალე, დავილალე.. აწ მაინც გავიწმინდები ცოდვებისგან... სტინესო, მოგეცა ჩემი ცოდვა... ღმერთო განაჭულო, შეინახე ჩემი სული, როგორც თამასუქი... აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია (მუსიკა: აფორიაქება.. ტარტაროზის მამა თავს გამოჰყოფს ფარდიდან, გაიცინებს და მიიმალება. კულისებიდან მოისმის კინტოს სიმღერა—არია ოპერა: „ჩერვონცები“-დან და „შეითანბაზარი“-დან გრიშაშვილის მოტივზე):

წაველ კინოში, ვნახე როზიტა,
ათი შაური მივე კინოში;
ხეირს ვერ ნახავთ ტარტაროზიდან,
დაიხრჩვი სულო წითელ ღვინოში.
აჯან... ჯან.. ჯან..

(მუსიკა „ყანწები“. სცენაზე გამოდის ორი მეეზოვე ფორთოხლის გუდებით. **გაფრთხილება:** არ შეგეშინდეთ, იწყება დუელი):

**პირველი მეეზოვე:** (ბაქიროძის ჰანგაირა).

ეს არის გახურებული საშო.
უნდა გავშორდე აქაურობას.
ივნისის ყელში აშმორდა დერგი,
აშმორთი ჯიმა...
მაშინ მზე თივას კვერცხში აშრობდა,
აშორდია როშავდა შარებს—და შარიშური ჩირით ვაჭრობდა.

**მეორე მეეზოვე:** (არლანი **დადა.** მოტივი ტიკჰორის სინაზე).

საუკუნე გაფატრული რაში,
თეთრი ღამე გადიცვალა ქარში,
მთვარემ ჩირგვზე დაახია ფაშვი,
საქარაში გაიყვანა შაშვი,
ვერის ხიდზე აქვითინდა ბავშვი,
შავმა ზანგმა გაიზმორა ნავში,
საოცარი პროექტები დაბინავდა თავში,
გადმობრძანდა დედოფალი მოფარყული შაშვი,
(სახლის ქირის მიცემისთვის გამოაგდეს კარში.)
მგელმა თხები გადაცვალა კრავში,
ვირთხას მთვარე ჩაუვარდა თვალში
ვწუხვარ ყველას გაგვყიდიან ვალში,
ვაი.. . ვაი.... ვაი... ოხ... ოხ... ო
(სევდი მუსიკა... ფარდა ეშვება)

**ტარტაროზის ფეხი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველმა პროლეტარულმა მწერლებმა ვერ შესძლეს ქარხნის სახურავის ახდად შიგ ჩახედვა". „პროლემაჟი"



**ნოე და რაჟ.**
მხარში გიდგებით, აცოცდით ზემოთ,
სახურავები ქარხნებს ახადეთ.
ბორბლებს, ხრახნილებს ჩახედეთ ქვემოთ
—„ახალი ფრონტი" გამოაცხადეთ.

**ტარტარ. და მუშები**
ვა, არ დაიმტვრეთ... ჩამოდით ქვემოთ;
ჯერ გაიცანით შიგნით ქარხანა.
მერე ახედეთ ქვემოდან ზემოთ
—შემდეგ შეჰქენით „ახალი ხანა".

---

# ხალხური.

### „ყოფილ ადამიანთა"

(„მრავალჟამიერს ვეძებდი"—ს ჰანგზე)

ჩვენს ძველ დროებას ვეძებდით—
ვერ ვნახეთ—ნეტავ სად არი?
სად არ ვიარეთ, მაგრამა
ვერ ვპოვეთ მისი სადარი!..

—

რაც გავბითურდით, ბიჭებო,
შესრულდა ოთხი წელია;
ბალშევიკებმა, კისერში,
მაგრად ჩაგვკიდეს ხელია!..

—

თუმცა ამბობდენ, რომ მალე,
წავლენო აქედანაო;
„ანტანტა" მოგვეშველება—
ჩვენ ზურგში ჩავცეთ დანაო!..

—

წაგვართვეს მამულ-დედული,
და დაურიგეს გლეხებსო;
ველარა გაგვიბედია—
გვიბრახუნებენ ფეხებსო!..

—

ქარხნები მუშებს გადასცეს—
ჩვენ კი დაგვტოვერ მშრალზეო;
ვერ შევურიგდით ამას, და,
გვიჭირს ცხოვრება ძალზეო!..

—

მუქთახორობას ჩვეულებს—
მთლად დაგვეფუკა ჩუმპეო;
აჯანყებაც კი ვცადეთ, და...
თავზე დაგვესხა წუმპეო!..

—

საბჭოთა ხელისუფლება
უფრო განმტკიცდა ეხლაო;
რაღა ვქნათ? უკვე ძნელია
კომუნისტებთან შეხლაო!..

—

მშრომელნი იმათ უჭერენ,
ერთსულოვნობით მხარსაო;
ველარსად შევძვერთ, რადგანაც,
კარგად გვისინჯვენ ფხასაო!..

—

ალარსაიდან მოველით
ჩვენ დასახმარად შველასო;
თუ პატიებას არ ვითხოვთ—
სიკვდილი გველის ყველასო!..

—

დავეხეტებით მშიერნი—
სოფლად, ქალაქად, ტყეშია;
წყეულიც იყოს, ვინაც რომ
ჩაგვყარა ასეთ დღეშია!..

—

ჩვენს ძველს დროებას ვეძებდით,—
ვერ ვნახეთ დაკარგულიყო;
„ჩეკა" როს ვნახეთ—იქ დაგვხვდა,
ტახტის ქვეშ მიმალულიყო!..

### ნამდვილ ადამიანთა.

(„ჩუნჩაირა კუკუ"-ს ჰანგზე).

უკვე ოთხი წელია—
ჩუნჩაირა, ჩაირა...
რაც, რომ გავთავისუფლდით
და ვცხოვრობთ სხვანაირად!..

—

საზღვრებიდან გავდევნეთ
ავუკარით მტრებს გუდა...
მოვიშორეთ სუყველა
წურბელა, აბდაბუდა!..

—

ყველა ვიგინდარების
წავიდა ძველი დრონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა მშრომლები ვართ,
ქვეყნის ბატონ-პატრონი!..

—

გვიყვარს შრომის სუფევა —
კომუნიზმის შვენება...
ძველ საქართველოს გულზე
ვიწყებთ ახლის შენება!..

—

ლამაზ დროშის ფრიალით
გვკოცნის წითლად მნათიმზე..
და ვინც ხელს გამოგვწვდის —
ვიწვევთ ნეტარ ნადიმზე!..

—

ნორჩი საქართველოთი
დარდი ვყარეთ უკუ...
და სიამით დავმღერით:
ჩუნჩაირა, კუკუ!.-

**გიენა.**

## ვერის



ავდარში

## „იმედები“

### გურული სცენა.

მამისული ნუ წამიწყდება, კიდომ ვინცხამ რაცხა რომ დეიწყო ბჟუტური მენშენიკობიაზე, თავს გაუფატრავ ცხრაზე.

რავა გინდა ეხლა; თუ ჭკუა არა გაქვს თავში შენ ოჯახ კეტიანო და დაქცეულო, მაი დასაფსები თვალები თხასავით რომ გაგიშტერებია, ხომ გაქვს მაინც?

ბიჭო, დაინახე რა ხდება ქვეყანაზე და კიდევ არ აქ ქანდე გამოტვინებულ ქათამსავით.

რომ ილიპარიკო ნატანების წყალი ზევით მივავათ, იგი მაინც ქვევით მიდის.

როცხა ბოლშენიკები მოვიდენ, ჩივოდით, რამე, ჰმ! აგინი სტუ რები არიანო; დიდი დიდი ოთხი დღეა მათი ვადა; მერე აკრავენ გუდა-ნაბადს და, ჰაბარდა—საცხაიდან მოვიდენ იქით გუუდგებიანო.

შენ ნუ მომიკვდე კაი სტუმრები არიან... რა ვიცი რუა, აგერ ოთხი წელიწადი დამგვალდა და აი ხალხი არხეინათ არიან; მუშაობენ და ყოლიფერს აკეთებენ. ყოველთვის უჩხიკინებდით, მარა, შენც არ მომიკვდე, კუდიც არ გაუქანებიათ.

ხოდა, ახლა მაინც, თქვენ ოჯახ დაფშუკულები, მიხდით რომ წყალ წაღებული ხართ და ხავს ნუ ეკორწიალებით, თვარა უარესია.

სულოცვოდილოთ, მეც ქი მეშინორა ბალშენიკების... მოდი და ნუ შეგეშინება; რავა ნუ შეგეშინება, როცხა ყველა ჩივოდა, რომე: ბალშენიკები ქვეყანას დააქცევენო. ყოლიფერს შეგიჭამენო; უკაცრავად პასუხია და პირიხესკენ მიქნია—ქალებსო ასე და ასე უზამენო—და მეც ქე დუუჯერე ამ ლაპარიკს.

ჰოდა მეშინოდა.. როცხა შემოვიდენ; კიდამ ნიფხ. . უკაცრავად, პატივი აქა, დიდი მორიდება და ოქროს საყვირი.

არა, პირდაპირ სასაცილოა... ყველამ წვერები გაუშვეს, არ იპარსავდენ, ბალნებს არ ნათლავდენ და ქალებს არ ათხოვხდენ... ყოლიფერი მერეო, ბოლშენიკები რომ წავლენო; მარა შენც არ მომიკვდე; აი ბალშენიკები კეტივით მაგრად არიან და რას დააკლებს ორი სამი ყაზილარი რომ ტყეში დარბოდეს, გინდა-და რაცხა ჯანდაბა ევროპაა იქიდან ჟორდანიას ბაქი-ბუქიობა.

ჩემი თავი დიდი ჭკვიანი არ მეგონა და თურმე სხვებზე უფრო ჭკვიანი ვყოფილვარ.

ერთხანს მეც უყურე. მარა როცხა დევინახე, რომ აი ბალშენიკები უკეთესად აკეთებენ საქმეს—მოგეცეს ლხენა: გავიწინწილე წვერი, მოვნათლე ბიჭი, მარა ხუცესი კი არ მყოლია; ცოციაც გავათხუე და ყოლიფერი. დღუუდევი გული ჩემს ოჯახს და არხეინად ვცხოვრობ.

ასეა ძმაო, თუ ვინმე კიდევ სხვაფერათ ფიქრობ, დალუპულხართ კაცი.

რამდენჯერ ძაღლი კუდს გააქანებდა, იმდენი ომი იწყებოდა, მარა, ერთი იგი მითხარი, ვინ გაბედავს ბოლშენიკებს ომი გამოუცხადოს.

მოსვენებული ვართ. ძმაო, ახლა და ჩვენ ჩვენი საქმე ვქნათ.

**ზურნა.**

## სტუდენტების მგზავრობა

ბილეთების კასასთან წეროებსავით ვიდექით რიგ ი. წესრიგის დამცველნი საუცხოვოდ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას. ცხრა საათის განმავლობაში რიგი არ შერყეულა: რიგში მდგომნი ერთ ადგილას იდგენ; მხოლოდ რიგს გარეშე მდგომებს აძლევდენ საშვალებას აელოთ ბ ლეთები და საჩქაროთ განშორებოდენ სადგურს, რათა მწყობრად მდგომ რიგში მყუდროება და წესრიგი არ დაერღვიათ. მალე რიგის ბოლო ნაწილიც მოიხსნა, რადგან, ცოტათი არეულათ იდგა.

ჩვენს იქ დგომაში სადგურმა სამი მატარებელი გაისტუმრა. ბოლოს როგორც იქნა, მევაღწიეთ კასამდე, მაგრამ კასის კარები საჩქაროთ მიხურეს. ვინც ჩემს უკან იდგენ, მათ საიდანღაც ჩუმად აიღეს ბილეთები და გაჰყვენ უკანასკნელ მატარებელს; ბევრი დავრჩით და იძულებული ვიყავით გავყოლოდით „მაქსიმ კორკი“-ს.

რადგან ეს მატარებელი დიდი ხნის დამსახურებული ყოფილა, ამიტომ ყოველ სადგურში მას პატივისცემით დიდ-

# დაღმართი



კარგდარში.

ხანს აჩერებდენ. მის ფანჯრებზე გაფენილი იყო ყინვის მშვენიერი ხალიჩები.

როგორც იქნა სამტრედიას მივაღწიეთ და მოუსვით სახლისაკენ. გზაზე ღამის სიმშვენიერემ სიმღერის სადერღელი ამიშალა და დავიწყე სიმღერა:

შავბნელი ღამე,
ვალიკო და მე
მივდივართ, მაგრამ გზა არ ილევა.
ქარი ჰქრი მძლავრი,
მე მომდის ჯავრი;
რომ ჩემს ფეხებს ქვეშ გზა არ ილევა.

ამხანაგი მეუბნება:—რა დროს სიმღერაა, ღამის სული ამოგვძვრეს სიცივისაგან.

— ეჰხ! ჩემო ძმაო, ჩემი დრო ახლაა, ვერავინ გაიგონებს; თბილ ოთახში და ხალხთან სიმღერა შენთვის დამითმია.

მივედი თუ არა სახლში, მაშინვე ცეცხლი დავანთებიე და ორი საათის განმავლობაში კანი ძვლის გავითბე.

დღესასწაულებზე მეზობლები ჭილობდენ: „გაის ამ დღეს ასეთი ბედნიერი ყოფილიყოთ“-ო... ალბათ არ იცოდენ და ისე მწყევლიდენ.

ერთი თვის განმავლობაში გვარიანათ მოვსულიერდით სოფელში. ამ ჟამად ისევ თაილისში ვართ და ისევ დაიწყო ჩვენი „ბედნიერი ცხოვრება“.

ღარიბი.

## ცოდვების მონანიება.

ქ. ფოთში დაიწყო ჭეშმარიტად ახალი სარწმუნოებრივი ხანა, რაც ფოთის საზოგადოებას ეცნობა ზარების განუწყვეტელი გუგუნით.

ბევრი სასოება გაღვიძებული მორწმუნე სიხარულისაგან ქუჩებში ქვითინებდნენ და მეტანიებს აკეთებდნენ, რის ემდეგ საყდრისაკენ მირბოდენ, რომ მოესმინათ მოძღვრისაგან უშუალოთ ღვთის მიერ შთაგონებული სიტყვები. აქ სხვა მორწმუნეთა შორის მეც გავექანე.

ჩემს გაბრაზებას საზღვარი აღარ ჰქონდა საყდარში შესვლისას, როცა საკურთხევლის წინ ადგილობრივი ვაჭრების მეუღლენი დავინახე, რომლებიც ჩემზე უწინ მოსულიყვენ და ღვთის მშობლის ხატის წინ იატაკზე თავებს არახუნებდენ. ბევრი არ მიფიქრია; მეც იესო ქრისტეს ხატისაკენ გავექანე და მის წინ ისე მძლავრად დავახალე თავი იატაკს, რომ შეშინებული მღვდელმთავარი რელიგიურ ექსტაზში მოსულს რომ თავი არ მოეკლა, მეცა და გამაკავა.

მეც მეტი რაღა დამრჩენოდა; გახეთქილი შუბლით, რომლის შეხვევაზე სასტიკი უარი განვაცხადე, ვიდექი და შევსცქეროდი იესო ქრისტეს სურათს, რომელიც კმაყოფილებით მიცქეროდა და თითქოს მპირდებოდა მეორედ მოსვლის დროს მეცამეტე მოწაფეთ ამიყვანდა.

მაგრამ ჩემი სარწმუნოებრივი თავმოყვარეობა მაინც შელახული დარჩა.—როგორ მომასწრეს ხვეებმა ეკლესიაში მოსვლა! მაშ [illegible] უფრო ღვთისნიერები ყოფილან?

განვიზრახე ეხლა წმინდა გიორგის ხატის წინ განმეგრძო თავის რახუნი, მაგრამ ამ დროს მომესმა ჩემი მეზობლის ხმა:

ალბად ის მანდილოსნები ღმერთს სთხოვენ კოპერატივის გაკოტრებას!—აქ კი ჩემი უპირატესობა აშკარად ვიგრძენი, რადგან მე თხოვნით არავინ შემიწუხებია და ჩემს განზრახვასაც თავი დავანებე; მხოლოდ წმინდანი რომ რომ ჩემზე გული ნაკლული არ დარჩენილიყო, გამოვბრუნდი და სოსო კლდიაშვილის სიგრძე სანთელი აუნთე. ერთხელ კიდევ შევავლე თვალი იესოს სურათს და ჩემდა უნებურად გამახსენდა „კითხვა პასუხის“ საღამოზე ანტიქრისტე სევერიან მუსერიძის სიტყვები „იესო ქრისტეს ბუშობის“ შესახებ—„რომ მარიამს სული წმინდა ღმერთიც ეარშიყებოდა და რომ იესო არალეგალური გზით შეეძინა მარიამს სრულიად „ჩასტნათ“ ჩარირამას ბიუროს ნება დაურთველად.

აქ კი ეჭვები ამეძრა, რადგან ამის მგზავსი რამ წინადაც გამეგონა, მაგრამ ყოველივე ისევ ეშმაკის ცდუნების საქმეთ ჩავსთვალე და ისევ იესოს სურათს მივაპყარ თვალები—მაგრამ ვაი უბედურებას. მისი სურათი ველარ ვიცანი; მას უკვე მიეღო სასტიკი გამომეტყველება და მრისხანე თვალებით ანათებას მიგზავნიდა.

აქ უკვე ვიგრძენი, რომ სული ეშმაკს მივყიდე და თავდავიწყებით გავექანე მისი სურათისაკენ, რომ ცოდვების მონანიების მიზნით მას ფეხთით ისევ დამეწყო მხურვალე ვედრება და იატაკზე თავის რახუნი. მაგრამ მორწმუნეს საზოგადოებაში ზოგს მე შეშლილათ მოვეჩვენე, ზოგს კიდევ კომკავშირელად (მიუხედავათ იმისა რომ აგერ ორმოც წელიწადს ვათავებ) და რომ ქრისტეს სურათი არ დამემტვრია, მეცენ მორწმუნენი და მარჯვენა გვერდებში მითაქეს. მაგრამ არც მე დავბნეულვარ და იმ წამში ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მიუშვირე მარცხენა გვერდიც, რომელსაც როგორი პატივი სცეს, მე აღარ მახსოვს.

ეშმაკის კერძი.

# გაზაფხულის ჰანგებიდან:

**(ვუძღვნი საფრანგეთს)**

იმას არ ვიტყვი წინეთ რაც იყო,
ეს ყველამ ვაცით, გაგვიგონია;
ეხლა ქვეყანა ორათ გაიყო
და საჭიროა, ასე მგონია,
ამ გაზაფხულის სიოსთან ერთად
ევროპის „საქმე“-ს ავხადოთ ფარდა:
ვისაც იქ თავი გამოაქვს „ღმერთად“
და არავინ სწამს მის თავის გარდა.

ასეთი „გმირი“ არ არის ერთი—
ყველაა მუშის მშრომელის გარდა,
აბა რას ნიშნავს „მხნე“ საფრანგეთსა
გაზაფხულზე რომ გაეხსნა მადა?
და გვილრენს როგორც ძაღლი ბებერი
თქვენი შექმაო, გვინდა—გვწადია
რას იზამს ალბათ თუ მოენატრა
მუშების ხორცის სჭამოს მწვადია.

თავის ეზოში საცოდავ მუშებს
გააძრო ტყავი, ხორცი—რბილია,
—ახლა მოუნდა საბჭოთა მხარე
ასწია მაღლა ცხვირი—კბილია,
ისუნთქავს, ეძებს საიდან ნახოს
ხრიკები მადის გასასწორებლათ.
როგორც მელია ჩვენ გვითვალთვალებს
დაიწყო უკვე ფრაკის სწორება.

ციც, შენ ქოფაკო, (გინდა ფინია),
ვერ დაეტევი კანში ბიძია?
იქნებ ეშმაკი, შეგიჯდა ტვინში
მუშების ცოდვამ გამოგიწია?..
ჩვენ სად გვცალია, რომ მაგ შენს
ღრენას
ყური ვათხოვოთ საფრანგეთ „ბიძა“
მოუკელ ცოტა ტლიკინა ენას
თორემ შენთვისაც მზათა გვაქვს მიწა...

ჩვენ გაზაფხული მოგვადგა კარზე
ბევრი საქმე გვაქვს; არა გვცალია,
თუ შენი „ჭკუა“ გავიგდეთ განზე
უკაცრავათ ვართ შენთან ძალიან.
ჩვენში ოფლსა ღვრით და შრომით
ვცხოვრობთ,
შენ კი სხვის სისხლში დღეს ითხიპნები,
აბა გვითხარით, რით გაგისუქდა
ამხელა ჩუმპუ, უშნო ლიპები?

შენ რა გონია მაქ ჩვენი ძმები
შენს თავხედობას ვერ მიხვდებიან?
არა მურია!.. ძალიანს ცდები,
დამშვიდდი შენთვის ისა სჯობია.

**შალონი.**

# ძღვნად.

**იოსებ იმედაშვილს.**

მისი ოცდა ათი და მისი ჟურნალის ხუთმეტი წლის მოსალოდნელ **„იუბი-ლე“**-ს გამო.

იოსები ჩამაცივდა
—დამიჯერე, ჰამე...
„უიმედო შვილი“ ნუ ხარ
დამიწერე რამე.
რა დავსწერო და რა უთხრა
ამ ჟამად ვარ მუნჯი.
(უგონორაროთ წერა
ჩემთვის არის ფუჭი).
ძველი აღარაფერი გრწამს,
სულ დაჰკარგე ფასია.
(წარმოდგენას სად გამართავს
„უკანონო“ დასია).
**პროლეტარიატის** მწერალს გავხარ,
ხელთ გიჭირავს კალამი.
(ნოე ჟორდანიასაკენ
კურთხევა და სალამი).
თეატრში აღარ დადიხარ,
ვერ გაიგე „შპიგელმენი“.
(საღამოებს ხშირად მართავს
დვალი შოთა და ევგენი).
ეკზარხოსმა ქრისტეფორემ
წაგიბილწა სიონი.
(გამოვა კი ოდესმე
ახლად „კავკასიონი“).
განაცხადე: ამ სეზონშიც
წავა „მალშტრემ—ლატავრია“.
(ნეტა როდის დისრულდება
სოლომონის ლატარეა?).
ჩემბერლენიც აღარ მოგწონს,
გაქრა შენში აღმაფრენა.
(ნეტავ ეხლა სად გადააქვთ
ქართველ მხატვრებს გამოფენა?)
ნუ უღალატებ შენ შენსა მუზას
რაც უნდა კარზე ჭირი მოგადგეს.
მე შენს ჟურნალში ვკითხულობ მხო-
ლოდ:
**„საქმე რომელიც უნდა მოგვარდეს“**
შენი ჟურნალის ტირაჟს კი
ნელ-ნელა მატე, მატე,
(თუ გიყვარდე შენს ჟურნალში
ერთხელ კიდევ მეც დამხატე).

**უცნობი.**

# უცნობი ახალგაზრდა.

სადილობის შესვენების დროს მე-მანქანე ზაქროსთან მივიდა უცნობი ახალგაზრდა კაცი და ჩამოუგდო ლაპარაკი.

—ვისაც არ სურს სიკვდილი, მან უნდა უსათუოდ დააზღვიოს თავისი სიცოცხლე!..

—ეს რა მოსაზრებით?- დაინტერესდა ზაქრო.

—მრავალნაირი!—მოუჭრა სიტყვა ახალგაზრდა უცნობმა—განა ცოტაა უბედური შემთხვევები! უეცარი ჭრილობა, ხელ-ფეხის ან კისრის მოტეხა, ავათმყოფობით სიკვდილი, ეტლით ან ავტომობილით გასრესა, მოხუცობილობით გადაცვალება, თუნდა ავი ცოლის მიერ წუთისოფლის გამოსალმება—ყველაფერი მხედველობაში მისაღები!



ზაქრომ ჩაახველა და ეჭვიანად აათვალ-ჩაათვალიერა უცნობი ახალგაზრდა.

—თქენ საიდანა ხართ, მოქალაქე?

—დამზღვევი საზოგადოებიდან!—მორცხვად ჩაილაპარაკა უცნობმა.

წუთს სიჩუმე ჩამოვარდა.

უცნობი ახალგაზრდა მიუჩოჩდა ზაქროს და განაგრძო:

—მე მყავდა ერთი ნაცნობი მემანქანე, რომელსაც ხელი წააგდებია მანქანამ. კიდევ მყავდა მეორე ნაცნობი მემანქანე, რომელსაც ფეხი მოსჭრა... მერე როგორ ფიქრობთ თქვენ? პირველი დაზღვეული იყო და მიიღო დაზღვევის ჯილდო; მეორე არ იყო დაზღვეული და არც ჯილდო

მიუღია... ეს არაფერი! კიდევ მყავდა ერთი ნაცნობი მემანქანე, რომელსაც კისრიდან თავი წააძრო. მერე როგორ გგონიათ! შემდეგ მოვიდა გონს და მთხოვა დაზღვევა, მარა უკვე გვიანდა იყო...

ზაქრომ ამოიოხრა და თანბაქოს მოუკიდა. უცნობი ახალგაზრდა განაგრძნობდა: —.. მაგრამ, მაგიერში, კიდევ ერთი ნაცნობი მემანქანე მყავდა, რომელსაც აგრეთვე წააგდებია კი!რიდან თავი, მაგრამ ის თავის დროზე იყო დაზღვეული და მან მიიღო კიდევაც დაზღვევის ჯილდო, რითაც ინუგეშა თავი.

—რაც მართალია — მართალია, — ამოიხვნეშა ზაქრომ,—აი, მაგალითად მე...

—რა თქმა უნდა,—გააწყვეტინა უცნობმა,—უბედურ შემთხვევებიდან უსიამოვნების მეტი არაფერი ხეირი აქვს ადამიანს...

—ხეირი კი არა ის არ გინდა!— განაგრძო ზაქრომ.—აი მე...

—ხედავთ!—აღტაცებით წამოიძახა უცნობმა,—თქვენ მე მეთანხმებით ყველაფერში. მაშ უსათუოდ...

ამ დროს ქარხნის საყვირმა ამცნო მუშაობის დაწყება და ზაქრო იძულებული იყო მიეტოვებია უცნობი ახალგაზრდა.

* * *

მუშაობის გათავების შემდეგ ზაქრო გამოვიდა ქარხნიდან. უცნობი ახალგაზრდა იქვე კარებში იდგა.

—ყველაფერი მშვიდობიანათ არის? —ჰკითხა მან ზაქროს.

ყველაფერი რიგზეა!

ზაქრო გაუდგა გზას სახლისაკენ. უცნობი გვერდში ამოუდგა და გაჰყვა თან.

—ამასწინათ ერთი უცნობი ქალი გაიჭყლიტა ქუჩის მოძრაობაში,—დაიწყო მან,—მარა არ ყოფილიყო დაზღვეული და ამიტომ არც ერთი კაპეიკი არ მიუღია დაზღვევის ჯილდო. დაზღვეული რომ ყოფილიყო, უსათუოდ მიიღებდა ხვედრ ჯილდოს.

— ნამდვილია, — სთქვა ზაქრომ, —დანზღვევა კარგი საქმეა... რაც მართალია — მართალია...

—თქვენ ნამდვილი შეგნებული ამხანაგი ხართ,—შეაქო ზაქრო უცნობმა.

ზაქრო შეჩერდა.

—ესეც ჩემი სახლი, მოვედით. მშვიდობით!

* * *

გამოვიდა თუ არა სახლიდან მეორე დღეს ზაქრო, პირველათ ყოვლისა თვალი მოჰკრა გუშინდელ უცნობ ახალგაზრდას.

—ხომ მშვიდობიანათ გამოიძინეთ? —მოიკითხა მან ზაქრო.

—გმადლობთ, მშვიდობიანათ?

—ერთი ჩემი ნაცნობი დაწვა ძილით სალამოს და დილით ის მკვდარი იპოვეს. გული გასკდომოდა. მერე როგორ ფიქრობთ თქვენ?

—ვფიქრობ, რომ ის არ იყო დაზღვეული და არ მიუღია...

—თქვენ საიდან იცით ეს ამბავი? გაიოცა უცნობმა.

—ისე, ჩემით მივხვდი.

—ეს პირდაპირ გასაკვირველი საქმეა!

პირველად ვხედავ ადამიანს, რომელიც ასე შეგნებით უყურებდეს დაზღვევის საქმეს!..

ზაქრომ მორცხვათ უყურა.

—რადგან თქვენ ასეთი შეგნებული ხართ, უსათუოდ უნდა დაიზღოთ თავი!—აღტაცებით შესძახა უცნობმა.

—დიდი სიამოვნებით, ჩემო კეთილო, მაგრამ..

—რაღა მაგრამ, რა!—მოუთმენლათ შეეკითხა უცნობი.



—ისა, რომ მე, როგორც შეგნებული, უკვე დაზღვეული ვარ!

ამის გაგონებაზე უცნობი შეტოკდა, დაბარბაცდა და მოწყვეტით დაეცა ძირს.

ზაქრომ მას ხელი სტაცა და მოინდომა ზეთ წამოყენება, მაგრამ ამაოთ: ის უსულოთ [illegible] ეგდო მკვდარი.

მოწვეულმა ექიმმა აღნიშნა მისი უეცრათ გულის გახეთქით სიკვდილი.

მან ვერ მიიღო დაზღვევის ჯილდო ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ ის მკვდარი იყო; მეორე იმიტომ, რომ მას თავის დროზე არ დაეზღო თავი მოულოდნელ უბედურ შემთხვევისაგან.

**სადგისი ტომარაში.**

## ზოიძეს გასაჭირი

**(იმერული სცენა).**

იმე რო იტყვიან მორეთ მოსვლაო სწორედ ეს არის.. თოვს და თოვს, აგერ ერთი საჟენი მოთოვა. რაც მქონდა სიმინდი თოლამდის გამოვკვრიხე და ეხლა ქე ვზივარ სახლში გულ-ხელ დაკრეფილი.

არ შეგჭამოთ ჰირმა მე აფერი მიშავდა, რომ ამ დრუნჩა გოგოს არ ევეყოლებიე ეს ჭკვიანი კაცი და თემში ცნობილი. ოუბა მხარი ჩემა ჭკუის კოლოფმა მაკრინემაც, დამიწყეს ჩხუბი, შექნეს წუწუნი: ქე არ შემაძულეს სახლში შესვლა?.

რავა, სოლომონას გოგოს შიხრიოტი უნდა ეცვას და ჩვენ დარიკიასა ფალენიო? ხომ დაბერდა სახლში გოუთხოვარი...

აღარ მომეშვენ. გავყიდე ღვინო წლის მოსავალი, ავიღე ექვსი ჩერვონსტი და გოუდექი გზას ..

ბიჭო ზესტაფონში რა მოგებით ყიდულობ საქანოლეს, რომ ბათუმში მიდიხარ? მამა შენი დადიოდა ბათუმში სავაჭროთ, თუ პაპა შენი?.. მაგრამ შინაურების ჩიჩინით თავი ისე ამებნა, რომ სტამბოლში წევიდოდი, ოღონდ თავი დამეხწია მაკრინიეს საყვედურიდან...

— რავა ღმერთი გამიწყრებოდა და რავა გავადგამდი ფეხს თუ ამისთანა ზამთარი მოვიდოდა?.. ის არ მერჩია, რომ ლაშიანში ორიოდე ღერი შეშა მომეჭრა, მაგრამ კაცს რაც უწერია შუბლზე, ის არ ასცდება.

ჩავედი ბათუმში. კაი მოგეცა, კაი ის ყოფილა.. ზესტაფონი იმასთან ღვანკითი გამოჩნდა.. მივადექი ჩვენებურ მიკიტანს გიორგი ღვინიაშვილს; იქნებ იცნობდეთ, იქვე აქვთ სტანციის პირდაპირ დუქანი

აუხსენი ჩემი გაჭივრება, მოუყევი ჩვენებურ ამბებს... იცოცხლეთ და

მეც ვიცოცხლე გიორგიმ მე პატივი მცა.. იმის პატივცემას ვინ გადიხდის!.

იმ ღამეს იქვე მომასვენა თბილად ქუხნაში. მეორე დღეს ჩაი დამალევინა, შიხრიოტიც მომყიდა, ბილეთი ამიღო, თან ცოტაოდენი დარიგება მომცა, რომ გზაში არ წაგართვანო.

იმე, სად მიკიტანი, სად ფართლის ვაჭრობა... ალბად გიორგის ბევრი დუქნები ექნება თვარა, ქე რავა შეიძლება ღვინით და ფართლით, ვაჭრობა.

ჯერ მეორე სტანციას არ ვიყავით მოსული. რომ შეიქნა სკამებ ქვეშ ძრომიალი. ჯერ ვიფიქრე: ალბად მატარებელს ყაჩაღები დაეცენთქო, მაგრამ რომ დოუკვირდი-ქე შევხედე რომ ჩხრეკა იყო..

აბა, ზოსიმე თუ შეგიძლია სდუ-თე თავი—გევიფიქრე გუნებაში და რწყილივით წამოვხრტენი, მაგრამ თურმე ორივე თავიდან იყო ჩხრეკა.

დეიკარგა შიხრიოტი... ისე დეიკარგოს მაკრინეს თავი და არ დასაცდელი დარიკია... დეიღუ,ა მთელი წლის ნაშრომი.

ბიჭო! რომელი პრინცები მეძლეოდა, რომ გოგოს გამოსაწყობად ბათუმში წავედი? ვზივარ ახლა სახლში გაყინულ ბუხართან—უღვინო, უშემო და ვქექავ ნაცარს. რა მინდოდა ბათუმში? „ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარედ სანადიროდ გარბოდა“. სწორედ ასეა ჩემი საქმე.

**მელა-კუდა.**

# დეპეშები.

**(ტარტაროზის საკუთარ აგენტებისაგან.**

**გურჯაანი.** სახალხო სახლი სიბერის გამო საიქიოს აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ მარჯვეთ შეყენებულმა სამმა ბოძმა შუა გზიდან დააბრუნა სააქაოს.

გამოანგარიშებულია, რომ თითო მაყურებელი წარმოდგენის დასრულებამდე ჰყლაპავს ნახევარ გირვანქა ბოლს. (ლამფის და თამბაქოს ნარევი). ზარალის ასანაზღაურებლად განზრახულია ბილეთებზე ფასის მომატება.

—ვინაიდან თბილისის გაზეთები გურჯაანის მხოლოდ ნაკლზე სწერენ და სიღნაღის გაზეთი კი ქება-დიდებას ასხამს, ამიტომ სამკითხველოსთვის გამოწერილია მხოლოდ უკანასკნელი.

— წარმოდგენის დროს ბუდიდან ამოხტა ალექსანდრე ალიხანოვის რევორვერი და დამსწრე საზოგადოება ააფორიაქა.

**იბი.**

**სამტრედია.** ადგილობრივ მოქეიფეგაერთიანებულ კრებაზე თამადობა წილად ხვდა „სახალხო გამომძიებელ“ ვალიკოს, რადგან ექიმების გამორკვევით მას მაგარი კუჭი ჰქონებია და შესძლებია ღვინის დიდი რაოდენობის მონელება.

— ადგილობრივი ქალაქ-ს უმუშევართა არტელის საქმეთა მმართველი დაჯილდოვებულ იქნა ერთი სადუქნე შენობით, მხოლოდ გამგის ჯილდო ჯერ გამოურკვეველია.

— ამავე არტელის ფურნეს წმიდა შემოსავალი დარჩენია: ერთი დამტვრეული სამოვარი, ორი დახეული ტომარა, ხუთი ფუთი ქატო, სამი დავთარი ნისიებით სავსე და ფურნის გამგეზე გასესხებული 2 მ. 75 კაპ. ფული; მხოლოდ გამგეს კი ხბოიანი ძროხა და სხვა „საოჯახო“ ნივთები.

**ზიპო.**

**ბორჯომი.** ალმასკომის თანამშრომლებმა გადასწყვიტეს ახლო მომავალში მოიწვიონ ლოტბარი ფოცხვერაშვილი თავისი ხოროთი და დაასაფლავონ თავიანთი ოთხი თვის ჯამაგირი. გამოსამშვიდებელ სიტყვას თანამშრომლების დავალებით წარმოსთქვამს ალმასკომის ბუჰხგალტერი დათიკო შარაშიძე.

**იქილდანვე.** წაარშიყებით დაორსულდა 15 ქალი; ამათში რამოდენიმე უკვე დალოგინდა.

— ხუთმა კაცმა თავი ჩამოიხრჩო ქალის თმებზე.

— მილიცია ყლუპწიანია. პური ძვირია. ჰავა ნოყიერი. სიცივე—ქუჩაში 14 გრად. სითბო—ალმასკომის კაბინეტში 90 გრად. ყინვა დაბალ თანამშრომელთა ოთახებში 96 გრად.

წძრევა საგრძნობი და ხშირია, თუმცა სახლები არ დაზიანებულან.

— სალაროში ყოველდღე ჰკლავენ ფულის მიმღებს.

— მგლებმა ალმასკომიდან გაიტაცეს ბუჰგალტერი; გთხოვთ თუ მკვდარი ნახოთ დაასაფლავეთ; თუ ცოცხალი ნახოთ—მოჰკალით; სულ ერთია, მაინც ვერაფერი გაგვიკეთა.

**შიკო-ლიკო.**

**შორაპანი.** „ეპო“ ს გამგეობამ დიდი შორსმჭვრეტელობა და ვაჭრობის უნარიანობა გამოიჩინა. მოიტანა, კონსერვები, ხიზილალა, ქიშმიში, სამი ვაგონი დამპალი სიმინდი და ცოტაოდენი ფართალი, რომელიც გაინაწილეს თვით თანამშრომლებმა.

გამგეობის ასეთი მოქმედება გასამართლებელია; კარგ საქონლის ყიდვას გლეხობა ვერ შესძლებს. ამას გარდა ადგილობრივ ვაჭრებს გაუყიდველი დარჩებოდათ თავისი საქონელი.

მუშტრებმა რომ თანამშრომლები არ შეაწუხონ, ამისათვის საქონელს და კრედიტს აძლევენ თავიანთ ნაცნობებს.

ამ ჟამად გამგეობასა და კერძო ვაჭრებს შორის არ არის ანტაგონიზმი; პირიქით, დიდი სალოდარობა სუფევს.

გამგეობის დიდი მადლიერი არიან აგრეთვე ამავე გაჭრების მალაზიების ვირთაგვები, რომლებიც ყირამალას გადადიან გლეხების მიერ დაწუნებულ დამპალ სიმინდზე.

ნათქვამია: ყვავს არ ჰქონდა და ბუზს გაჰქონდაო.

ცენტრში არაფერი ჰქონდათ და სოფლებში გახსნეს განყოფილებები. ალბათ უნდოდათ უმუშევრების შემცირება, მაგრამ მალე თვითონაც დარჩებიან უმუშევრებად.

**დავიდარაბა.**

**ზესტაფონი.** ღამის რვა საათზე მილიციის უფროსმა თავისი შემადგენლობით ალყა შემოარტყა მგელს. ხანგრძლივი სროლის შემდეგ მოკლული იქნა ბებერი დეკა ძაღლი, რომელსაც დარჩა ცხრა ლეკვი*).

**გორეთელი.**

**დ. მარტვილი.** ადგ. გლეხკომის „წითელი სასადილო“-ს მუშტრები ბლომათა ყავს, მაგრამ ყველაზე უფრო ღვინის ერთგული მუშტარია გლეხკომის თავმჯდომარე ა. ჩიქვანია. რათა სასადილოში დამყარდეს წესრიგი და ადგილი არ ექნეს სიმთვრალეს, მან გადასწყვიტა სასადილოს ყველა ღვინო თვითონ შესვას და თავიდან აიცდინოს ყოველგვარი უსიამოვნება მუშტრებს.

ამას გარდა ხსენებული პიროვნება სხვა ღირს შესანიშნავი საქმეებსაც აკეთებს. ამას წინეთ ის გაგზავნილი იქნა

*) მკვლელებს ევალება ძაღლი გადაათრიონ, ობოლ ლეკვებს ზრუნველობა და დედობა გაუწიონ.

ტ.

გლეხთა რაიკომიტეტის მიერ ქ. თბილისში. სადაც, რადგან ამხ. ხომერიკთან (სოციალ. უზრრნ. კომისარი) მისვლა ვერ მოახერხა, ინახულა ძველი ნაცნობი მეგობრები და ორი დღე როგორც იყო თბილისის რესტორანებში დიდი ვაი-ვაგლახით ღვინოს სმაში გაატარა. აქედან მობრუნებისას გამოიარა ქალ. ქუთაისში—შეიძლება აქ მაინც ავილო ვინმესაგან კრედიტით პურის ფქვილი გლეხკომის ფურნისათვისო. ამ აზრის განსახორციელებლად მან მიმართა შემდეგი ღონის ძიებას: პირველად ის, როგორც ქრისტიანი კაცი გაეშურა წმ. გიორგის ხატს აუნთო ორი მანეთი ნახევარის სანთელი შეიძლება ამანაც ხელი შემიწყოს ამ საქმის მოგვარებაშიო. რადგან სახელმწიფო სავაჭ. დაწესებულებებში ვერსად ვერავის იცნობდა, უმჯობესად სცნო მოეძებნა ისევ აქაც ნაცნობი ძმაბიჭები, რომელსაც მოუყარა თავი სასადილო „მედვედ„-ში და იქ ათიოდე მანეთის ზარალი მიაყენა რესტორანის პატრონს.

ამ მგზავრობის დროს ბევრი არასფერი დაუხარჯავს —სულ 50 მანეთამდე და ისიც სახალხო ფული.

**ცქვიტა.**

**ნიგვზიანი.** (გურია) საზოგადო კრებამ ერთ-ხმად დაადგინა ესე რასპუტინისათვ ს ღირსების აღკვეთა და მისი გადასახლება, ვინაიდან ამ ბოლო ხანებში მოსალოდ ელი შეიქნა ნიგვზიანში მხოლოდ ამ გვარის გამრავლება.

**ხუშტური.**

**ქ. ჭიათურა.** — მგლების შიშისაგან თავზარდაცემულებმა იერიში მიიტანეს ძაღლებზე—დაჭრილი ძაღლები მოთავსებულია რკ გზის საავადმყოფოში.

სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს მგლების თავდასხაისაგან უვნებლათ გადარჩენილ ვ. ციცქიშვილს.

განსაცვიფრებელია ის, რომ ერთერთი მგელი ჭრელი და [illegible] დაჭრილი ყოფილა.

ტყუილი კი არ არის: შიშისაგან თავზარ დაცემულს „კამეჩი მღვდლათ ეჩვენებოდათ“.

—სამთო-მადნო პროფ-კავშირმა გადასწყვიტა მოაწყოს სპეციალური ექსპედიცია უგზო უკვლოთ დაკარგულ პ/მ. მდივან ე. ბახტაძის აღმოსაჩენათ.

ფიქრობენ, რომ ბახტაძე მგლების მსხვერპლი გახდა თბილისში რუსთაველის პროსპექტზე სეირნობ ს დროს.

ვინაიდან განათლების ინსპექტორ ე. ღვალაძეს ამ ბოლო ხანებში დასჩემდა სიყვითლე, ამიტომ ექიმების რჩევით ის ღებულობს განუსაზღვრელ დოზას შავი ღვინისას. შემდეგი საუცხოვოა. ე. ღვალაძე სრულიად განიკურნა სიყვითლისაგან და დასჩემდა სიწითლე.

**ძმ: ბ. მ. და ამხ.**

# საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის
## ოთხი წლის შემოსავალ-გასავალის
# ანგარიში

| | შემოსავალი: | გასავალი: |
|---|---|---|
| 1921 წ. | საბჭოთა ხელისუფლება. მიწა-წყალი, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები და სააქციონერო საზოგადოებები, საუკეთესო შენობები და სავაჭრო დაწესებულებები. | დემოკრატიული რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებით, დუჟინ-ნახევარი მინისტრები თავიანთი და არა თავიანთი ბარგი-ბარხანით,—ფართლეულობით, ბრინჯ-შაქარით, ნოხ-ფარდაგებით, ჯვარ-ხატებით და სხვა, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელი შეიქმნა, რადგან ფინანსთა და მომარაგების მინისტრები საძღვარგარეთ გაიპარენ. |
| 1922 წ. | საბჭოთა კონსტიტუცია, რევოლიუციონური წესრიგი, სარწყავი არხები, თუჯის ქარხნის და მრავალ ელექტრონთა სადგურების საძირკვლების ჩაყრა და სხვა,— ფუნთუშა თეთრ პურამდე და ზიზილ პიპილა ფართლეულობამდე. | უთავბოლობა და არევ-დარევა, დემოკრატიული რესპუბლიკის უხეირო ნაშთები, რამოდენიმე მოუსვენარი პირები მათი გაცრუებულ იმედებით. კომუნისტური პარტიის რამდენიმე უვარგისი წევრები. |
| 1923 წ. | რევოლიუციონური წყობილების გამტკიცება. მუშათა და გლეხთა თანაგრძობა. მემამულეებზე და ეკლესია-მონასტრებზე დარჩენილი მამულები და სხვა ძვირფასი ქონება. | შეუგნებლობა, ცრუმორწმუნოება, ხუცები და ბერ-მონაზნები. მასებზე მენშევიზმის ზეგავლენა. |
| 1924 წ. | ჩერვონცები ლითონის ფულებით გამტკიცებული. მშრომელი ხალხის სრული თანაგრძნობა. ათასობით კომპარტიის და კომკავშირის წევრები. | ბონები ათას ფუთობით. საბჭოთა მტრების უკანასკნელი იმედები მათთან ერთად, ბანდიტები და პარტიზანები. |

**1925 წ.**

შემოსავალ-გასავლის ჯამი ჯერ არ არის შედგენილი საანგარიშო წლის დაუსრულებლობის გამო.

„ოსმალეთის მთავრობამ პატრიარქიც გააძევა".



ამბროსი. ჩემი მდგომარეობა ბევრჯერ სჯობია ხალიფის და პატრიარქის მდგომარეობას.

### ქრონიკა

**ახალი პიესა.** ახალგაზრდა დრამატურგი, ჟურნალისტი, არტისტი-ტრაღიკი სწერს ახალ პიესას „შური". ტიპები უკვე წამოყალიბებულია. მთავარ როლში გამოყავს თავისი თავი, ვინაიდან ამ მხრივ დიდი მუშაობა არ დასჭირდება და ტიპსაც ადვილად ჩამოაყალიბებს.

**ქართლელ-იმერელი** არტისტ-ტრაღიკმა დურუჯელების გამოსვლის დროს საჯაროთ განაცხადა ერომ იგი თამაშობს სცენაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ სცენას არა ყავს მსახიობი.

**„ნარსვიაზის"** ახალ რეჟისორს განზრახული აქვს დადგას გრ. რობაქიძის ახალი პიესა „ხურუშუმი". მთავარ როლს შეასრულებს თვით რეჟისორი.

**„იუბილე"** თეატრი და ცხოვრების 15 წლის არსებობის აღსანიშნავად კვირას 8 თებერვალს შესდგა საგანგებო კრება. კრების თავმჯდომარე თავაზიანათ უსმენდა მოხსენებებს, შემდეგ დაეძინა და კრება დაუხურავიდ დარჩა.

**წკნელი.**

## ტარტაროზის ფონდი

ყოველ დღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) ყველა დაწესებულებებს და კერძო პირებს შეგიძლიათ „ტარტაროზი"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემოიტანოთ შემოწირულება.

იჩქარეთ შემოტანა, თორემ მალე შეწყდება; ვინც დარჩება სასტიკ

პასუხს მოსთხოვს **ტარტაროზი**

ამხ. **ლ. სუხიშვილმა** ქალაქის აღმასკომის სახელით უკვე შემოსწირა **500 მანეთი,** მაგრამ ეს არ არის ყველასთვის სავალდებულო განაკვეთი; შეგიძლიათ **მეტიც** შემოსწიროთ.

**მიიღება განცხადებები, რომლების გავრცელებას თვითონ „ტარტაროზი" კისრულობს;** (ეს კი ნიშნავს, რომ თქვენი განცხადება ყველას ეცოდინება).

**აწ თქვენზეა დამოკიდებული თქვენი ხვედრი და წარმატება.**

**სარედაქციო კოლეგია.**